

რედაქცია

გადასწავლის პრინციპული. ავ. მუსხრანის ხელზე.

ხელის-მოწერა

მოდება თულისში, დროება, ივერია, რედაქცია...  
თან ხელზე. გარეშე მცხოვრებთათვის: В Тифлисе,  
въ редакцію „Дროზда“ „Иверія“.

„დროება“-„ივერია“ შპსი

წელიწადში 6 თვეს. 30ვეს

დროება და ივერია ერთად 14 მან. . . 8 მ. . . 5 მ.  
„დროება“ . . . . . 9 მან. . . 5 მ. . . 3 მ.  
„ივერია“ . . . . . 7 მან. . . 4 მ. . . 2 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს ბარდა

შპსი განცხადებისა

დღის ასოებით ასოზე 1 კაპა, წვეთები...  
მოდება თულისში, დროება, ივერია, რედაქცია...  
თან ხელზე. გარეშე მცხოვრებთათვის: В Тифлисе,  
въ редакцію „Дрозда“ „Иверія“.

ცალკე ნომერი „დროებას“ ღირს 5 მან.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

პირველის ივლისიდან წლის დამლევამდინ

## დროება

ცალკე ღირს — ხუთი მანეთი

## ივერია

ცალკე ღირს — სამი მანეთი

ერთად „დროება“ და „ივერია“ ღირს მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება, თულისში, რედაქციაში (გადასწავლის პრინციპული, ავ. მუსხრანის ხელზე, კლუბის ქვეშ), მუთისში — აკენტთან ბ. ილია ჭყონიასთან (სილაზე, მიწიან ჭყონიას ხელზე). ქაჯაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ადრესი: Тифлисе. Редакция „Дрозда“.

ვისაც 5 მანეთის მეტი არ შემოუტანია რედაქციაში გაზეთის ფული, 1 ივლისიდან მოესწობათ გაზეთის გზავნა.

ადრესის გამოსაცვლელად ხელის-მომწერმა ათი მარტი უნდა შემოიტანოს რედაქციაში. უმორჩილესად ვთხოვთ იმ ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომელნიც ადრესს იცვლიან, ახალ ადრესთან თავიანთი ძველი ადრესიც (ბანდეროლი) გამოგზავნონ.

ჩვენი სკოლების საძმე

(სასაზღვო განათლების მინისტრის ვაკანსიაში ჩამოსვლის გამო)

თბილისი, 11 ივლისი.

იქ, რუსეთში, საცა კი მიბრძანდა სახალხო განათლების მინისტრი, ყველგან, ადგილის საზოგადოებამ, ჩვეულებრივი პურ-მარილის მაგიერ, თავიანთი სკოლების გაჭირების ამბავი მიართვა და შემწეობა ჰსთხოვა. პირის-პირ, თვალ-და-თვალ, უქადალოდოთ, ადგილობრივი მთავრობის შუამდგომლობის გარეშე, რუსეთის საზოგადოებამ მიღწეინა უმაღლესი მთავრობის ყურამდის რა ნაკლები ვანება ჰქონდა იმათ სასწავლებელს, რა ცუდი შედეგი ჰყვებოდა სასჯელად ამა-და-ამ სკოლის ამა-და-ამ ნაკლები ვანებას და პირის-პირ, სთხოვა ამ ნაკლები ვანების წინააღმდეგი საშუალება. ამ თხოვნის ასრულებას იქაური საზოგადოება ისეთსავე დიდ და საცხოვრებო მნიშვნელობას აძლევს, როგორ მნიშვნელობასაც მისცემდა, ეთქვათ, რომ სხვა რომელი მინისტრისთვის ეთხოვა სადმე უწყლო და უდაბურ გუბერნიაში არხი გაეყვანა რომელიმე შორეული მდინარიდან. საზოგადოების ტვინში სწავლის მნიშვნელობამ იმატა და სწავლა-განათლებას თითონ საზოგადოება ისეთსავე დიდ მნიშვნელობას აძლევს, როგორ მნიშვნელობაც აძლევს სხვა დიდ სახელმწიფო კითხვებს.

აქ, ჩვენში, ჯერ თითქო არც კი შეუტყვიათო მინისტრის ჩამობრძანება, თუმცა ეს ორი-სამი კვირაა რაც ის დაბრუნდა რუსეთიდან თავის მამულში, ბეთანის. საზოგადოება აქ

არა მდგარა თურმე იმ სიმაღლეზე, რა სიმაღლეზედაც სდგას რუსეთის საზოგადოება; იმან ჯერ-ჯერობით ვერ დააფასა მინისტრის ჩამოსვლის მნიშვნელობა და ეტყობა უნდა ეს მშვენიერი შემთხვევა ისე უსარგებლოთ ჩაატაროს და ჩვენი სკოლების საქიროება ისევე იმ მდგომარეობაში დაარჩინოს, როგორშიაც ისენი დღემდის იყვნენ. სჩანს რომ, ან საზოგადოებამ არ იცის თავის სკოლების საქმე (ეს ძნელი დასაჯერებელია), ან სკოლების გარემოება იცის, მაგრამ იმაზე ზრუნვის და მეცადინეობის ენერგია არ ჰქონია.

თავს ვანებებთ იერემიის გოდებას და არ გავიმეორებთ: ჩვენში არ არის ერობა, არა გვეყავს მოთავეები, მარშლები არაფერს აკეთებენ და სხვ. რომ ამით აქსნათ ამ გვარი საზოგადოების გულ-გრეილობა და თავის ინტერესების გაუგებლობა. დრო არ არის მარჯვე ამაზე ლაპარაკისა. ჩვენ მხოლოდ გვინდა, როგორც საზოგადოების წევრს და, რამდენათაც არის მაინც, წარმომადგენელს, კიდევ ერთ-ჯერ გავიმეორებთ ჩვენი მაღალხარისხიანი სტუმრის აქ მყოფობის დროს, ჩვენი ახალ-თაობის აღზრდის შესახებ—თუ რა გვარ წმიდათ პედაგოგიურ დაბრკოლებას ხედავს ის ჩვენ სკოლებში.

ამისათვის ყველაზე უკეთეს საშუალებათ მიგვაჩნია ავწიროთ ბავშვის ცხოვრება სკოლაში იმ დღიდან დაწყებული, რა დღესაც იმას ელირსება იქ შესვლა—იმ ჰასაკამდის და დრომდელს დაასრულებს. მზა-გზა ჩვენ ვნახავთ სად რას წამოკრავს ფეხს ეს

ბავშვი და როდის რა დაბრკოლებების კანონიერ და ყოველ მხრიულ გონებით გახსნას.

ღაფიწყით საშუალო სასწავლებლიდან.

საუბედუროთ, ამ სასწავლებლებში ჯერ თითონ შესავალზე უხვდება ბავშვებს დიდი და ძნელათ გარდასაბიჯებელი დაბრკოლება: ბავშვებს არ იღებენ გიმნაზიაში, თუ არ იციან რუსული ენა. მაგრამ რას ვამბობთ... გიმნაზიაში კი არა, საგიმნაზიო მოსამზადებელ კლასში, საცა სიტყვის მნიშვნელობის თანახმად, ბავშვებს უნდა ამზადებდნენ გიმნაზიებისათვის, იქაც კი არ იღებენ სწავლის მოსურნე ბავშვებს...

ეს გარემოება, ქართველებისთვის და ქართველებ შორის გამართულ სასწავლებლებში ჩვენი ბავშვის მიუღებლობა, რუსული ენის უცოდინარობისაგამო, არა ვითარი პედაგოგიური და პოლიტიკური მოსაზრებით არ შეიძლება გაამართლოს კაცმა. ამის შედეგზედაც ჩვენ ბევრს არ ვილაპარაკებთ, რადგანაც ეს ყველათვის ცხადია. მართვლი ბავშვები ვერ სწავლობენ რუსულ ენას თავიანთ ოჯახში; იქ არც ცოდნა არის ამ ენისა და არც საშუალება რომ დღე-მძებებების და ლალების შემწეობით მაინც ისწავლონ საეკზამენიო, საყველ-პურო რუსული. ამისგამო უმეტესობა ქართველ ყმაწვილებისა ამ სასწავლებლებს გარე რჩება. ათასში ერთხელ ვინმე გაჩინოვნიკებული, ან გამდიდრებული ქართველი კაცის შვილი, თუ მოხდება ამ სასწავლებელში, თორემ ნამდვილ ქართულ მოსახლობისთვის (ნამეტურ მუთისის გუბერნიაში) საქართველოს საშუალო სასწავლებლის კარი დახშულია.

ბოლოს, ეთქვათ, როგორც იქმნა ბავში მიიღეს სასწავლებელში. მზახოთ იქ რა გარემოებაშია ყმაწვილი.

ჩივსა და კანონს უნდა, რომ სკოლაში ბავშვს გონება გაუხსნას, მეცნიერებითი ცნობა მისცეს, ხასიათი განუმზადოს და განუმტკიცოს მას. შევლა სწავლა-განათლებასზე მოღვაწე კაცი ამ დღეა აზრზე, როგორც ქვაკუთხედზე, უნდა აშენებდეს ყოველ გვარ პროგრამას და პედაგოგიურ წესებს. მნა, კლასების დაწყობა, სხვადასხვა პედაგოგიური ზომები მხოლოდ საშუალებაა, ამ დღე-მისხანის მისაწვენიელი.

ჩვენში ეს დღე-აზრი სწავლა-განათლების, თავ-და-ყირა გდმოუბრუნებით და სწავლის საშუალება სწავლის მიზანთ გაუხსნიათ. ჩვენი სკო-

ლების პროგრამის შემადგენელთ ერთობ გაუდიდებიათ რუსული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, მნიშვნელობა; იმათ ენისთვის მიუტიათ ის უპირატესობა, რომელიც მართლაც ცოდნას ეკუთვნის და გონებითი განსნის და მეცნიერების ინტერესი მეორე რიგზე დაუყენებიათ. ბავშვი რომ სკოლაში შევა იმას ეჭვირება შინაურულათ დედ-მამის ენით ლაპარაკი, თბილი სიტყვა, ლომობიერი ქცევა, ესე იგი ისევე ის შინაურული ატმოსფერა, რომელმაც არ აგრძობინოს იმას სკოლასა და ოჯახს შუა დიდი განსხვავება. ამის ნაცვლად ჩვენი სკოლები მაშინვე უცხო ენაზე დაუწყებენ იმას ლაპარაკს, უცხო წესს აჩვენებენ, უცხო სჯას ასწავლიან. მერე როცა დრო წინ წაიწვეს და ბავშვებს მეცნიერების სწავლას დაუწყებენ, ცუდათ დადგნილი პედაგოგიური წესი თავისს მავნებელ შედეგებს ბავშვის წარმატებაზე გამოაჩენს; ბავშვი, რომელმაც რუსული ჯერ იმდენათ ვერ ისწავლა, რომ ყველაფერი შეითვისოს, იძულებულია უაზროთ იხეიროს კლასში განსაჯონი. ამის გამო იმისი გონება ირყენება და ის ცოტა ცნობაც, რომელიც იმას შეუძენია უფხო და გამოუდგარია. ბოლოს საქმე იქამდის მიდის, რომ ამ გაუგებარ ენაზე ზეპირობის და თუთი-ყუთობის წყალობით, ჩვენი ბავშვი უკან ჩამოუდგება სხვა მისს ტოლებს, რუსთავანს, და დასასრულ იძულებულია სასწავლებლიდან გამოვიდეს ცუდის წარმატების გამო, ან თავის ნებით, ან სასწავლებლის მთავრობის გარდაწყვეტილებით, რომელიც მის მცირე წარმატებას „უნიჭობას“ ეძახის.

მეორე მთავარი დაბრკოლება, რომელიც უხვდება ჩვენ ბავშვებს საშუალო სასწავლებლებში არის ისევე ენა. მნა ქართული, ლათინური ბერძნული...  
მართული ენა, რომელზედაც, რიგით, უნდა იკითხებოდეს ყველა საგნები მოსამზადებელსა და პროგრამაზიის კლასებში, სულ გამორიცხულია ბავშვებისთვის ვალად დადებულ საგნებში. ეს გამორიცხვა დღე-ენისა, გარდა იმისა, რომ ცუდათ მოქმედობს ბავშვების ვონებით განსნაზე, როგორც ზემოთა ეთქვით, და შემდეგში, დიდ დაბრკოლებას აძლევს ცხოვრებაში,—თითონ უცხო ენების წარმატებით შესწავლას უშლის, რადგანაც დღე-ენის გრამმატიკა არ აძლევს შემწეობას, რომ ბავშმა შედარებით მეტადით ისწავლოს სხვა ენები. ძლასსიური ენები, o, temporal!.. ესენი სულ ერთიანათ რევენ უიმისო-

მეორე მთავარი დაბრკოლება, რომელიც უხვდება ჩვენ ბავშვებს საშუალო სასწავლებლებში არის ისევე ენა. მნა ქართული, ლათინური ბერძნული...

მართული ენა, რომელზედაც, რიგით, უნდა იკითხებოდეს ყველა საგნები მოსამზადებელსა და პროგრამაზიის კლასებში, სულ გამორიცხულია ბავშვებისთვის ვალად დადებულ საგნებში. ეს გამორიცხვა დღე-ენისა, გარდა იმისა, რომ ცუდათ მოქმედობს ბავშვების ვონებით განსნაზე, როგორც ზემოთა ეთქვით, და შემდეგში, დიდ დაბრკოლებას აძლევს ცხოვრებაში,—თითონ უცხო ენების წარმატებით შესწავლას უშლის, რადგანაც დღე-ენის გრამმატიკა არ აძლევს შემწეობას, რომ ბავშმა შედარებით მეტადით ისწავლოს სხვა ენები. ძლასსიური ენები, o, temporal!.. ესენი სულ ერთიანათ რევენ უიმისო-



თაც გადარეულ ჩვენ პროგრამას. სასულიერო სემინარიაში, მაგალითად, ამ ენებს კვირაში 39 საათი უჭირავთ, მაშინ როდესაც ქართულს ენას მარტო 8 საათი აქვს და ზოგიერთა საგნებს ამაზე ნაკლებს.

მიმეორებთ მოკლე სიტყვებით: ჩვენი სკოლების უმთავრესი დაზარალება ენებზე და მოკლებული. მართულ ენას, რომლიდან უნდა იწყებოდეს ენების და საგნების სწავლა თითქმის სულ არ ასწავლიან; რუსულ ენას თუმცა ასწავლიან, მაგრამ გონივრული მეტოდის და პედაგოგიური მოთხოვნების გარეშე; ლათინური და ბერძნული, ცის და ქვეყნისთვის გამოუდგარი ენები...

არის კიდევ სხვა დაზარალება, უფრო წერილობითი, რომელზედაც უნდა იქნას მიტეული მთავრობის ყურადღება, როგორც მაგალითებზე ერთი და იგივე მოთხოვნის გარეშე; რუსული ბავშვისაგან, რომელთაგან უკანასკნელს ერთი ენა მეტი აქვს სასწავლო, და მაშა სადაც არის ზოგიერთა პრივილეგიის ღირსი, მაგრამ ამათზე ლაპარაკი ძლიერ ბევრ ადგილს დაიჭერს და ჩვენ ჯერ დაბალ სასწავლებლებზე ერთი სიტყვაც არ გვითქვამს.

მზახთ ეხლა როგორ მიდის ჩვენი ბავშვის საქმე დაბალ სასწავლებლებში.

ჩვენი სასოფლო სკოლების სამოსწავლო პლანი აქაც გზას უკრავს ჩვენი ბავშვის წესიერათ გონების გახსნას. ჯერ ისევ ის რუსული ენა, რომელიც, როგორც გინილის ტექტრებში ჟანდარში, აქაც გზაზე უხვდება ჩვენ ბავშვს. რუსულ ენას აქ, მართალია, სკოლაში შესვლის დროს არ ითხოვენ — ეგლა აკლდებოდა! — მაგრამ ჯერ ქართულ ანბანის დასწავლასაც ვერ მოასწრებს ბავშვი რიგინათ, რომ, ექვსის თვის შემდეგ სკოლაში შემოსვლისა, რუსულ ენასაც მოაყოლებენ. ეს მოთხოვნისაგან სასწავლო პლანისა წინაღობდებოდა ყველა ელემენტარული პედაგოგიური კანონისა. სხვა ქვეყნებში უცხო ქვეყნის ენის შესწავლა არ შეიძლება დაიწყონ სკოლებში სამი წლის წინათ, რაც უნდა სპეციალური დანიშნულება ჰქონდეს სკოლას. ჯერ დედა-ენაზე უნდა მოიდგას ენა ბავშვმა და მერე სხვა ენა ისწავლოს თუ უნდა, ასე ამბობს ევროპის სკოლების კანონი. მაგრამ ამ პედაგოგიური მოთხოვნების დარღვევაზე მარტო არ ჯერდება ჩვენი სამოსწავლო პლანი. იმას უნდა რომ მესამე წელში, მესამე კლასში, საგნებიც რუსულათ ასწავლონ; ჰგონია, რომ ერთ წელიწად ნახევარში ჩვენ სოფლის ბავშვს ისე შეუძლია დასწავლოს რუსული ენა, რომ სხვა საგნებიც ისწავლოს ამ ენაზე. სამი წელიწადი რო შეუსრულდება ბავშვს სკოლაში, იმას შინ ითხოვენ, — კურსი თავდება; იმას რუსულიც ასწავლეს, ქართულიც და სხვა მეცნიერებაც... მაშინ როდესაც სასოფლო სკოლებში სწავლის ვადა,

სამზღვარს გარეთ, მაგ., ხუთი და ექვსი წელიწადი გრძელდება ხალხმე და თითონ რუსის სკოლებში ოთხს წელიწადში „მარტო საგნების სწავლას ვერ ასწრებენ“ — ამ საგნებს ხომ ჩვენში რუსული ენაზე — ჩვენში სამოსწავლო პლანმა ღარიბ ხალხს მეგობრობა გაუწია და ბევრი ხნით ბავშვი არ წაართვა ოჯახს. პარგი და პატროსანი, მაგრამ ვაი თუ ამ სამ წელში ბავშვმა ვერაფერი ისწავლა და ეს სამი წელიც მუქთად დაკარგული გამოდგა?

ამ გვართ დადგენა ჩვენი სკოლების სამოსწავლო ნაწილისა და ბევრი სხვა ამ გვარი გარემოება, რომლების ერთ სტატიაში მოხსენება შეუძლებელია, არის მიზეზი, რომ სწავლა-განათლებლაში ქართველები ყველა ძაგკასის ხალხებს ჩამორჩნენ. მთელი ცნობა ძაგკასის სამოსწავლო მხარისა გვიხატავს ჩვენ შემდეგ სურათს: საშუალო სასწავლებლებში სწავლა დასრულებულ ყმაწვილებთ შორის ქართველები შეადგენენ 1% მაშინ როდესაც სომხები შეადგენენ 33%. მუთაისის და მბილისის გიმნაზიები, რომლებიც ქართველების შუა გულში არიან გამართულნი, წელიწადში ათ ქართველსაც არ ათავებინებენ სწავლას და ისიც, სტატისტიკით, ეს რიცხვი თან-და-თან კლებულობს წლიდან წლამდე. ღაცხინათ ამის შემთხვევითი ცნობა, რომელიც ჩვენა გვაქვს. სამხედრო გიმნაზიამ, რომელიც ქართველების თხოვნით და ქართველებისთვის იყო დაფუძნებული, წრეულს, პირველს თავისს კურსში, არც ერთ ქართველ ყმაწვილს არ დაათავებინა კურსი.

სასოფლო სკოლები კიდევ უარეს % იძლევიან. ას ბავშვში, რომელიც ძაგკასის მხარის სკოლებში სწავლობს 35 რუსია, 18 სომეხი, 18 თათარი, 11 მთიულეები და 10 ქართველი.

ამ ციფრებზე ფარდა დაუშვათ, სკოლებს თავი დაეანებოთ და ცოტა ხალხში მიიხედ-მოიხედოთ. უნდა მართალი თქვას კაცმა, ხალხს ცოტა არ იყოს გული აუტურდა სკოლებზე. მუთაისის გუბერნიაში, მაგ. ბევრგან უნაყოფოთ შერაცხეს სოფლის სკოლები და გააუქმეს. მბილისისა და მუთაისის სამღვდლოება, როგორც იმან განუცხადა საქართველოსს ექსარხოსს, უკმაყოფილოა, რომ სემინარიაში ქართულ ენას და ეკლესიის ისტორიას არ ასწავლიან, უკმაყოფილოა ვგრეთვე, რომ სომხის, თათრის და ურების სამღვდლო მსახურთ აქეთ ნება სკოლების გახსნისა და ქართველ მღვდლებს კი არა. საზოგადოთ არც სოფლის სკოლას მოაქვს ნაყოფი, რადგანაც ისეთი სწავლა, როგორც ეხლა იქ არის, არაფერში არ არის გამოსადეგი, რადგანაც სოფლის სასამართლოს მწერლობასაც ვერ ასწავლიან იქ, სხვა არა იყოს-რა; არც გიმნაზიები და პროგიმნაზიები არიან ნაყოფიერი, რადგანაც იქაურებს უბრალო მომრიგებელ მოსამართლის თარჯიმნობაც

არ შეუძლიან; არც სასულიერო სემინარია, მეორე საშუალო სასწავლებელი, არის ნაყოფიერი, რადგანაც იქაურები, სხვა სიკეთის მაგიერ, წიგნსაც ვერ წაუკითხვენ თავის მრევლს და სხვ. და სხვ...

ზემო-თქმულიდან ჰსჩანს, რომ სულ ყოველიფერი კარგათ არ არის ამ კარგზე კარგ ქვეყანაში; ჩვენ სკოლას, თუ უნდათ რომ იმას ჰქონდეს მნიშვნელობა ხალხისათვის და სახელმწიფოსთვის, ჰსჭირია ცვლილება, და ეს ცვლილება, იმედია, არ დააკლებს იმას ამ დროებაში, როცა სახალხო განათლების სამინისტრო დასდგომია ისეთ გზას, რომელშიაც სკოლას მიენიჭება სულ ყველაფერი, რაც კი იმის კანონიერ მოთხოვნისა და საჭიროებას შეადგენს.

დასასრულ არ შეგვიძლია არ ვისარგებლოთ მინისტრის აქ ყოფნით და არ მივაწვიროთ იმის ყურადღის საზოგადო სურვილი ქართველის ერისა. მუთაისის თავად-აზნაურობა, მბილისის თავად-აზნაურობა, თითონ მუთაისი და მბილისი და მათთან მთელი ძაგკასის აქეთა მხრის მოსახლობა მსურველია, რომ დაფუძნდეს მბილისში ძაგკასის უნივერსიტეტი და ამ საგნისთვის შეძლების და გვარად არ ზოგვენ არა ვითარ ხარჯს და მსხვერპლს ხალხში დიდი მოთხოვნისა უმაღლესი განათლებსა, საჭიროება მეტის-მეტია ადგილობრივი იურისტებისა, ინჟინერების, ექიმების და სხვ. და მორეულ რუსის უნივერსიტეტებს არ შეუძლიათ ამ საჭიროების დაკმაყოფილება, რადგანაც ხალხს არ შეუძლია იქ შეიღებოს ჰგზავნოს; მატერიალური ღონის-ძიება რომ ჰქონდეს კიდევ, რუსეთის ჰაეა ცუდათ მოქმედობს ჩვენ ყმაწვილობაზე და თითქმის 20-30% რუსეთში წასული ყმაწვილებისა იქვე იღუპება...

ღმერთმა ჰქნას, რომ ახალმა დროებამ და ახალმა სამინისტრომ ჩვენი სკოლების საქმეც გაასწოროს და ამ მაღალი სასწავლებლით დააჯილდოვოს რუსეთის ტახტის ერთგული ერი.

რედაქციის სასულიერო დეპარტამენტი

**ახალი ამბები.**

საქართველოს ყველა კუთხეებიდან, მართლ-მანეთიდან და იმერეთიდან განსაკუთრებით, წელს ძალიან კარგ მოსავლის ამბავს იწერებინან. არც კალიას, არც სეტყვას არც თავეს და სხვა რამ ჩვენი მოსავლის მანებელს არა დაუკლია-რა ჯერ კირნახულისათვისა.

ახალციხის მაზრიდან, ჯავახეთიდან, გვატყობინებენ, რომ წელს ძლიერ კარგი კირნახული სჩანსო და კიდევ უკეთესი იქნებოდაო, რომ ამ წვიმიან წელიწადს სიცივები არ ყოფილიყო.

თუ ამას დაუმატებთ კიდევ, რომ რუსეთის მომეტებულ ნაწილში წელს უხვ მოსავალს ამბობენ, მაშინ იმედი უნდა გვქონდეს, რომ მალე იაფობა

ჩამოვარდება და ამ რამდენიმე წლის სიძვირისაგან შეწყნებულნი დარჩები ხალხი ცოტაც-პოკს სულს მიტებენებს.

მრთს პეტერბურლის გაზეთში „ნავსტა“ იწერებინან, რომ ძაგკასის სამეურნეო საზოგადოებასთან და სამხრეთ რუსეთის ზოგიერთ ადგილებში რამდენიმე სამეურნეო პრაქტიკული სკოლები უნდა გაიხსნასო.

სამხრეთ რუსეთის რა მოგახსენოთ და ჩვენში ჩვენი სამეურნეო საზოგადოებას ეს ათ წელიწადზე მეტია, ჯერ ერთი სამეურნეო სკოლაც კი ვერ გაუხსნია...

ამავე გაზეთის სიტყვით, ძაგკასის სამოქალაქო მმართველობას წელსაც ჩვეულებრივად დაენიშნა განსაკუთრებული ფული იმ ებრაელების და მამადიანების ჯილდოთ, რომელნიც ქრისტიანად მონათვლას ისურვებენ.

ზორიდან გვწერენ, რომ ერთმა მდიდარ სომეხმა პლელოვმა წინადადება შემოიტანა აქაურ ქალაქის გამგეობაში, რომ რკინის ხიდს აეაშენებო, და თან ისეთი პირობაც წარმოადგინა, რომლის შესრულება ქალაქს ხელს მისცემდაო. მაგრამ, რადგან ახალი ბამგეობა ქალაქისა ჯერ კიდევ არ შემდგარა, ამის გამო ამ საგანზე ჯერ-ჯერობით ქალაქს ვერა გარდაუწყვეტია-რაო.

ზემო-იმერეთიდან გეთხოვენ გამოცხადოთ, რომ მომრიგებელი შუამავალი (მბროვი პოსტდენიკი) დაგვეკარგაო და გაზეთში გამოაცხადეთ, იქნება სადმე აღმოჩნდესო. ამ გვარად ჩვენი მაზრის უპოსტდენიკოდ დაგდება მით უფრო სამწუხარო არისო, რომ ბევრი თავად-აზნაურები და გლეხები არიან მსურველნი, რომ მიწა-წყლის საქმე მშვიდობიანად, მორიგებით გაათავონ ერთმანეთში და მომრიგებელი კი არაინ ჰყავთო.

იქიდანვე შემდეგ ამბავს გვატყობინებენ:

შორაპნის მომრიგებელ სასამართლოს სახლის დაწვას აპირებდნენ კვირას, შუა-ღმე, ამ თვის ხუთს. მანცელარის ოთახებში ნაფთი მოესხათ, თოფის წამალიც მოეყარათ და აბერიტ ცეცხლიც მიეკიდებინათ; მაგრამ მალე გაიგეს და არც ცეცხლი მოკიდებოდა.

სახლის მცველზე არის ეჭვი, ამბობენ, მაგრამ ნამდვილი არ იცინ. ეს სახლი ერთ-ჯერ დაიწვა; მაშინ ის იყო საზღვეველ საზოგადოებაში შეტანილი 7000 მანეთად. მხლაც ამდენივე ფული არის შეტანილი საზღვეველ საზოგადოებაში; მაგრამ ამ მხრით ეჭვი არავის აქვს...

რაქიდან გვწერენ: „დ. მის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის საქმე ისე მივიწყებულია“

რომ კაცმა არ იცის—ეინ დახარჯა ამ ამხანაგობის თანხა 3,400 მან., რომლის რიცხვშიაც, გარდა წილის ფულისა—1,600 მან., ონის ფულეზი ნასესხი და ას მანეთზედ მეტი სკოლის ფული სასარგებლოდ შეტანილი.

„როცა, მიაქციონ ყურადღება ამ ბედკრულ ამხანაგობის საქმეს. ამხანაგები, რადგანაც თითოეულს მათგანს ცოტა ფული აქვს შეტანილი, ხმას არ იღებენ, მაგრამ მაზრის უფროსი მანც რად არ ზრუნავს იმ 1,600 მანეთზე, რომელიც მისი წინამოადგილის განკარგულებით სესხად აქვს ამხანაგობას მიცემული?“

ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ერთი რუსული წიგნი, სოფლად, „მეგობრულ მეორე და საქართველო“. ეს წიგნი გამოცემულია 1775 წ. მოსკოვში პლექსანდრე ამილახვრისაგან. ეს ის ამილახვარია, რომელიც მოხსენებულა „მართლის სწავლების“ მეორე ნაწილში და თ. პლ. ორბელიანის ნაწერს „შეთქმა მეფე ირაკლისაში“. როგორც სჩანს ამ წიგნიდან ეს პლექსანდრე სიკვდილით უნდა დასჯილიყო ყმების დაყიდვისა და ქვეყნის ღალატისათვის; მაგრამ მეფის ირაკლის პატიობით, მხოლოდ ცხვირი მასტრის ობილიში საქვეყნოთ. შემდეგ ამისა ეს ამილახვარი აქედამ აეტერბურღს გაიქცა და იქიდან ტრობდა ქართველებსა.

ჩვენ შევიტყეთ, როგ. მანო როსტომაშვილს ვადმოუთარგმნია ქართულათ სმაილის თხულებანი.

**ქველი ქართული აკადემიური ბალოების და ორის პირობაზედ**

ამ მომდინარე 1881 წელსა, 22 მარტსა, მე მიველ სანახავათ საქართველო-იმერეთის სოფლადნი კანტარის ჩლევის არხიმადრიტის შრიგოლისა (დადინის), რომ იმ დროს იქ შემობრძანდა თ. აღიანი, ნიკოლოზ ტარიელისძე, რომელმაც ქართული ენა და წიგნი ზედ მიწვევით იცის და რომელმაც დიდი ქართული ბიბლიოთეკა ქართული ოლიშში (სამეგრელოში) დაქვეა, მაგრამ ამ თავადს მესხიერე-ქართველ მახვილი და კარგი აქვს და რაც აზრი იმ წიგნებისა და მარტვილი წიგნის და ვგრეთვე სიტყვანი იმ წიგნთანი, მაგ. „მეფის ტყაოსნისა“, რომელიც ზეპირათ იცის. და აი ამ ქართულ ენაში წარჩინებულმა და გავითარებულმა პირმა რა წარმოსთქვა შესახებ ძველის ბალოებისა (ქათალიკოზობის დროისა) და გვალობლებზედ.

მართულ საეკლესიო ბალოებსა სომი საფუძველი, ან და სამი ხმა აქვს: 1, თქმა, 2, მალალი ბანი და 3, ბანი. თითოეული ამ მთავარ ხმათაგანი კიდევ სხვა სამ-ნართულ ხმად განიყოფა:

I ა) თქმა, ბ) მოზახილი და გ) წვრილი.

II ა) მალალი ბანი ბ) ზილი და გ) კრინი.

III ა) ბანი, ბ) დერინი და გ) გუბი, ან ღუმბი.

თითოეული ამ ბალოებისა ივალობებოდა სამ-სამი პირისაგან ორ-პირათ, ან ორ-მწყობრათ და თითო მწყობრს შეადგენდა თერამეტ-თერამეტი კაცი. პირველი გუნდი იყო მარჯვნივ ფრთედში, მეორე მარცხნივ—ტაძარში, რომელნიც გარბეებით ბალობდენ აღსავალთა და სხვა სამბალობლო წეს ერთი შორეს ჩამორთმევით და ამთვან გარბეობდა ესრედ წოდებული „წირდა წმიდათასი“, საკურთხეველში შეყოლა სამღვდლო მსახურთა თანა შემწყობრენი მბალობდენი „საკათალიკოსო“ ან სავისკოპოსო წირის დროს. ამასთანავე ამა გამოჩევილთაგან მარჯვენა და მარცხენა გუნდის პირთა შესდგებოდა და „შუა მწყობრი“, რომელიც იღდა საშუალ ტაძრის ფრთედში ან კათედრის უკან და წართქვამდა ბალობას კათალიკოსის ან ეპისკოპოსის შემოსელისა და შემოსის დროს და აგრეთვე დიდ კვერქის წესსაც სრულიად პირველს მცირე კვერქსამდის, რომლის საგალობელსაც მარჯვენა გუნდი მბალობელთა გამოართმევდა. ამ შუა მწყობრს უძახოდენ აგრეთვე „მთავარ გუნდს“, „წარდგამითს“ ან „მოსაყდრე მწყობრს“ და ითვლებოდა თავად მბალობელთა გუნდისა და პირველი და მეორე გუნდი, ანუ მარჯვენა და მარცხენა ირაცხებოდა იმის „შტოებად“.

კვისკოპოსის ალექსანდრე. 1881 წ. 6 ივლისს. თბილისი.

**ქართულის ენის პირობაზედ (დასასრული \*)**

**IV კლასი (ორი გაკვეთილი).**

თამარ-დედოფალი. საქართველოს მდგომარეობა თამარის გამეფების დროს. შესანიშნავი პირნი თამარის დროისანი. პირველი ქმარი თამარისა, იმასი ვინაობა, მოწვევა, ვაჟ-კაცობა და ზნეობა. ბანდენა ბიორგისა. მეორე ქმარი თამარისა და პირველ ქმართან ომი.—სულთან ნურადინის ასიათასიანის მხედრობის დამარცხება და აუარებელი ტყვეთ შოვნა.—ზანჯის აოხრება და დიდი დავლის აღება.—რად ეძახიან თამარის დროს „ოქროს საუკუნედ“ მწერლობა და შესანიშნავი მწერალნი თამარის დროისანი.

ლაშა ბიორგი და მონგოლების შემოსევა. სამეტი წლის ბიორგის დაგვირგვინება და მე 18 წელს მისი გამეფება.—ბიორგის ზნეობითი მხარე და დიდებულთა გარყვნა.—მონგოლების გამოლაშქრება ჩინვის ჭეცის წინამძღოლობით.—ჩინეთის, ინდოს-

\*) „დროება“, № 144.

ტანის და სპარსეთის აღება და აოხრება მონგოლთაგან და ბოლოს საქართველოში შემოსევა.—ბიორგისაგან თავის დის მემკვიდრეთ დანიშვნა.

რუსუდან დედოფალი. რუსუდანი-საგან თავის აგდება და საქართველოს დაუძლიურება.—რუსუდანი ქალის გათხოვება იკონიის სულთანზე.—მონგოლებისაგან ჭალალ—მდინის დენა და ამ უკანასკნელისაგან საქართველოს აოხრება.—ღვეით სოსლანის დატყვევება რუსუდანი-ს ცილის-წამებით.—რუსუდანი-სიკვდილი თავის მოწამვლით.

ღვეით სოსლანი მართლ-ძახეთის მეფე.—ღვეით ნარინი იმერეთის მეფე.—ამათი ერთმანეთში ცილობა გამეფებაზედ. სულთ აღწერვა ცხოვრებათა ხანის ფირმანი.—საქართველოზედ ხარკის დადება 90,000 მხედრობისა...

ღვიტრი თავდადებული შეილი ღვეით სოსლანისა.—ღვიტრი როგორც კაცი და როგორც მეფე.—მონგოლების გავლენა ქართველების ყოფა-ცხოვრებაზე.—მართლეთა მრავალ ცელიანობა.

ბიორგი V ბრწყინვალე.—ეს ოცი წლის მტარვალობა ქართველებისა მონგოლთაგან და ამის მოსპობა ბიორგისაგან.—საქართველოს დასვენება 57 წლისა.—შემოსევა თემურისა და აოხრება საქართველოსი.

ბიორგი VIII. საქართველოს დანაწილება სამ სამეფოდ და ერთ დამოუკიდებელ სამთავროდ.—დასუსტება დანაწილებულის საქართველოსი და ამით მტრებისაგან სარგებლობა.

ჯაბრი სპარსთა და ოსმალთა შორის საქართველოს დაპყრობაზედ. თემურაზ მეფე ძახეთისა, ლუარსაბ მეფე მართლისა და ბიორგი იმერეთისა. რა საშუალებას ხმარობდნენ სპარსნი და ოსმალნი საქართველოს დამონაგებისათვის?—შაჰ-აბაზის გამეფება სპარსეთში და ამ დროდგან ოსმალეთის გავლენის კლება საქართველოზედ და შაჰ-აბაზისგან საქართველოს აოხრება.—მეთევანი და მისი შეილი თემურაზი.—თბილისის მოურავი ბიორგი სააკაძე და მისი მოქმედების მიზანი.—თათარ-ხანი და მასთან ბრძოლაში საქართველოს დიაცთა მონაწილეობის მიღება.—ღმკვიდრება სპარსთა მართლ-ძახეთში და ოსმალთა იმერეთში.—ზაფი შაჰ-აბაზს და ქართველებს შუა და ზოგიერთი მუხლნი ამ პირობისა.—მართლ-ძახეთის მეფენი მაჰმადიანნი.—პრჩილის რუსეთში გადასახლება.

მანტანგ VI.—მანტანგის დრო საქართველოში.—რა გააკეთა შესანიშნავი მანტანგმა?—სტამბა და ბეჭედა წიგნებისა.—სჯულითა-დებდა და „მართლის ცხოვრება“.—მანტანგის გადასახლება რუსეთში. თემურაზი II, მეფე მართლისა.

ირაკლი II, მეფე ძახეთისა.—ნადირ შაჰიმ როგორ მიიწვია ირაკლი სპარსეთს? ირაკლისაგან მამის დახსნა თავის მძევლობით.—ირაკლის დაბრუნება სპარსეთიდან.—მამის შეიკრება ნადირ-შაჰისგან ირაკლისაგან? რით გათავდა ნადირ-შაჰისაგან ქართველების შევიწროება? რა სარგებლობა მოუტანა საქართველოს სპარსეთის შინაურმა არეულობამ? რით გათავდა თემურაზის მეფობა? მამის შემდეგ როგორ წაიყვანა საქმე ირაკლიმ? მინ გაამეფა იმერეთში? პირველი გავზენა დესპანად თბილისის მიტროპოლიტის პთანასესი და სამსონ მაყაშვილისა რუსეთს, მლისაზედ პეტრეს ასულთან.

მეცნიერება და სკოლები ირაკლის დროს.—ანტონ II კათოლიკოზი და იმისაგან სწავლა—განათლებისათვის მზრუნველობა.—ანტონის წასვლა რუსეთს.—ზაზაშვილი და ბაიოზი.

შესანიშნავნი ომები.—მოხუცებულ ირაკლი და მისი მეორე ცოლი. მეორედ გავზენა დესპანთა ბარსევან შავჭავაძესი და მუხრან-ბატონისა პირობაზედ მოსალაპარაკებლად.—პლამაჰ-ხანის შემოსევა და თბილისის აოხრება.—ირაკლის ანდერძი.

ბიორგი XIII, მეფე მართლ-ძახეთისა. სოლომონ მეორე, მეფე იმერეთისა.

საქართველოს შეერთება რუსეთთან. ქ. ზაზაფოვი.

**წერილი რედაქტორთან**

ბატონო რედაქტორო!

ახალციხის საბლალოჩინოს სამღვდლოებას, მწყემსთ-მთავრულის კურთხევითა მისის მალალ ყოვლად უსამღვდლოესობის საქართველოს ექსარხოსის არხივისკოპოსის კავალეროსანის იოანისა, სურსთ გარდაიხადონ 26-სა რიცხვსა აგვისტოს თვისასა ამა წელსა, ჯეროვანის დღესასწაულობით ორმოცდა ათის წლის იუბილეა ყოველთა მიერ შეყვარებულის და პატივცემულის თვისის ბლალოჩინის დეკანოზის ბიორგი ღვეითის-ძის ზამრეკლოვისა. ამის გამო უმოჩინოლესად გთხოვენ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფე, ცნობილ ჰყოთ ბ.ბ. მკითხველნი თქვენის უპატივცემულის გაზეთის „დროებისა“ ვინაიდგან რომელთამე მრავალთა მისთა მცნობთა და კეთილის-მყოფელთა სურსთ იცოდნენ დღე იუბილეისი ნანევარს საუკუნეში დამაშვრალის სარწმუნოებით და სიმართლით სარბიელსა-ზედა მწყემსებრისა მსახურებისა მოხუცის ზამრეკლოვისა, რომელნიცა თვინიერ ყოვლისა იქვისა თანამგძობელ იქმნებიან ამა მასიამოვნო შემთხვევისათვის.

ახალციხის მიძინების სობორფს დიაკონი ნიკოლოზ ზეჯვინიძე.

ირაკლი II, მეფე ძახეთისა.—ნადირ შაჰიმ როგორ მიიწვია ირაკლი სპარსეთს? ირაკლისაგან მამის დახსნა თავის მძევლობით.—ირაკლის დაბრუნება სპარსეთიდან.—მამის შეიკრება ნადირ-შაჰისგან ირაკლისაგან? რით გათავდა ნადირ-შაჰისაგან ქართველების შევიწროება? რა სარგებლობა მოუტანა საქართველოს სპარსეთის შინაურმა არეულობამ? რით გათავდა თემურაზის მეფობა? მამის შემდეგ როგორ წაიყვანა საქმე ირაკლიმ? მინ გაამეფა იმერეთში? პირველი გავზენა დესპანად თბილისის მიტროპოლიტის პთანასესი და სამსონ მაყაშვილისა რუსეთს, მლისაზედ პეტრეს ასულთან.

# ბანსხალეზანი

იაზალ ისყილვა ბაჟული

თ. მიხეილ რევაზის-მის ნი-  
ჯარბისა სოფ. ოფიშევეთში,  
15 ვერსზე ქუთაისიდან, ორ-  
ეტაჟიანი სახლი, ვენახი და  
სახსნავ-სათესი ადგილები.

ამ მამულზე ბანკის ვალია  
800 მან. მსურველს შეუძლიან  
მიმართოს ქუთაისში პატრ ბრ-  
ჩიშინ-ძის გორდინოსის, რომელ-  
საც მინდობილი ავსს სხენებულ  
მამულის განყიდვა.

ესევე მამული დანიშნულია  
გასასყიდლად აგრეთვე ქუთ.  
საადგილ-მამულო ბანკისაგან და  
ვინც განყიდვისა გამოცხადებუ-  
ლია გან. „გაგაგაში“.

(5-4) პ. გორდინოსი.

ინგლისის მალაზიაში



ამგვრებს თმას და ადრინდელ ფერს  
აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან.,  
გაგზავნი 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისეიდება ქინის ზომადა თმების  
გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სწოტკები  
თავის ტვინის მოსასპობლად, ტუბ-  
ლეტის საზონი, დუხები და სხვ  
(150-139)

ინგლისის მალაზიაში  
არწრუნის გალფერიაში  
(Maison de confiance)

შეადრეთ ჩვენი ჩაი ჩაის ყველგან  
— 1 მ. 10 კაპ. — 1 მ. 40 კაპ.  
— 1 „ 20 „ — 1 „ 60 კაპ.  
— 1 „ 40 „ — 1 „ 90 კაპ.  
— 1 „ 60 „ — 2 „ 20 კაპ.  
— 1 „ 80 „ — 2 „ 50 კაპ.  
საუკეთესო 2 მანეთ. — 3 მანეთ.  
ჩაის წონა—უქადადლა, სხვგან გი  
ქადადლით. (100-15)

ინგლისის მალაზიაში.

სოფლისათვის მოსახურავები 4  
მან.; დასაკეცი კრესლოები 2 მ. და  
50 კაპ. და კრაოტები 8 მანეთიდან;  
სკამიანი ჯოხები 4 მან., ლამაკები  
14 მან., კრესლოიანი კრაეატები 10  
მანეთიდან; ბაკლები 15 კაპ. ეკსტრა-  
ტი-ყავა, კაკაო, თოფები, რევილე-  
რები, პირის-სახოცები, საწერი მასა-  
ლები, კალმები, და სხვ. და სხვ.  
(10-11)

ინგლისის მალაზიაში

მოსახურავები 4 მან., ნასოსები  
1 მ., დასაკეცი სკამები 2 მ., სკამიანი  
ჯოხი 4 მ., კრავატისა ვრესლო 10 მ.  
დაწვეული, ფილტრები 4 მ., ქინისთავების  
შესანასავი 50 კაპ., სრუსტალის ჩაის  
სტაქები 25 კაპ. და 30 კაპ., ლეპილ-  
კები და ზასტილა თამბაქოს მისამრე-  
ლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანები  
და სხვა. (20-17)

## ისყილვა

შემოსავლიანი სახლი ფლიგელით  
225 ოთხ-კუთხი საყენი ადგილი, ბა-  
ჟით, ეზოში, დაგირავებულია პრიკაზში.

ფასი 4,000 მან.

ნოვო-ბროიცკის პოსელენიე, №  
12/13. მსურველმა შევერდოვის კან-  
ტორაში იკითხოს. (2-2)

ისყილვა ინგლისის მალაზიაში

30%-ზე უფრო იაფად, ვიდრე სადემ  
სხვგან: მურაბა, ვაკაო, ბრისჯი, ჭურჭ-  
ლეულობა, ბაკლები, ტამბაკი, ზირის  
დასახანები, ჩაინიკები, სტაქები, ზად-  
ნოსები, კლიტები, დანები, ვოკსე-  
ბი, კალმები, ქადადლი, კარანდაშები,  
რევილეები, თოფები, რევილეები, ალ-  
ბომები, კრაოტები, ტანსაცმელი, ტრი-  
კო, ზარუსინა, ცვირ-სახოცები, პირ-  
სახოცები, კლეჩა, კანის და ქაღის  
წინდები, უნაგრები, ზორტკეინი, სე-  
რსი, კონიაკი და სხვ. ჩაი ზარტებით  
გაჭრებს ფუთობით 44, 46, 48, 50, 52,  
54 და სხვ..

იქვე იაფად: შერბეთი, მანესია და  
წუთყილისაგან ლეპილკები, ციკლისაგან  
ქინისთავის ღვინო, კარბოლის ზარაშკაი,  
საზონი და წამლები ეპიდემიისგან დაცვი-  
სა, მედიკური ქადადლი ფეხის-ალაგები-  
სათვის, სპარსეთის ზარაშკაი და სხვ.  
(15-14)

გამოვიდა და ისეიდება

ცენტრალ-წიგნის მალაზიაში ბუღვარზე  
და გრიჭოვის მალაზიაში კუვიის სი-  
დის ყურზე, ზადის პირდაპირ:

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები  
ნაწილი პირველი.  
ფასი მშენი შაური.

იქვე ისეიდება:

ლექანი ნიკ. ბარათაშვილისა. ფასი  
ერთი აბაზი.

ანტონოვის თხზულებანი. ფასი ერ-  
თი მანეთი.

მართული ანდაზები. ფასი ორი  
შაური.

მეფე ლირი, ტრაველია შექსპირისა,  
თარგმნილი ივანე მაჩაბლისა და ილია  
ჭავჭავაძისა. ფასი სამი აბაზი.

ზრიგოლ მრბელიანის ლექსები.  
ფასი ექვსი შაური.

ღვითიანი (ბურამიანი), თქმული  
ღვითი ბურამისშვილისა. ფასი ერთი  
მანეთი.

ბაბა-ადამიანი, მოთხრობა ილია  
ჭავჭავაძისა. ფასი ორი აბაზი.  
(5-3)

ლონდონის მალაზია

მრენის მოედანზე № 2, კომერ-  
ციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია  
წმინდა პაატის და ჩინეთის პირველი  
მოწვევის ჩაის გასაყიდველად და ასაუ-  
კეთესო ინგლისის საქონლებისა, მა-  
გალითად: თოფების, რევილეების-  
სა, ბოქლომთა, ტამბაკების (ფოლდო-  
კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე,  
ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიე-  
ლი სუკრის ერბო, სასურნებელის,  
საბონის, ცვირ-სახოცების, შოთკი  
წინდების, ჩულკების, კარანდაშების,  
რკინის კალმების და სხვ...  
(100-94)

მიუხედავით იმისა, რომ ბაჟი მოი-  
მატა, საქონელი გაიყიდება ასე იმ ფა-  
სად, როგორც წინეთ იყო: ჭრე-ჩაი  
1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; სუკეთესო  
მინიგა 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.,  
მშვენიერი ვანისა 1 მ. 60 კ. და 1 მ.  
80 კ. ძრეულ კარგი ჩაი 2 მ. გირანქა  
უქალაღლოთ.

ინგლისური რევილეები 4 მ.—4  
მანეთად და თოფები 20—200 მან-  
ეთად. ინგლისის მალაზიაში.  
სააგენტო ზარსის უნაგრების გასას-  
ყიდლად, ჯონსის კლიტებისა, შოკო-  
ლადისა და ეკსტრატისა ვაკაო ჭრის  
რომელთაც დაიმსახურეს ზარაშკის მსოფ-  
ლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი.  
გირანქა არმატიული ჩაისა ლამაზი  
ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო  
2 მ. 30 კ. გაჭრები მოიგებენ, თუ იყიდან  
ზღვათ ინგლისის მალაზიაში. მთელი  
გოსტიუმი 15 მ. ხველების კონტეინერი  
60 კ. ერთი გირანქა. (100-76)

მოსახურავები 4 მანეთად, ნასოსები  
1 მან., დასაკეცი სკამები 2 მან., სკა-  
მიანი ჯოხი 4 მან., კრავატისა ვრესლო  
10 მან. დაწვეულია, ფილტრები 4 მან.  
ქინისთავების შესანასავი 50 კაპ., სრუს-

ტალის ჩაის სტაქები 30 კაპ. თითო,  
ინგლისური ვანები და სხვ. ინგლისის  
მალაზიაში.

10,000 რევილი ქაღის წინდები 25  
კაპ. დაწვეული 75 კაპ.—დისინ, 10,000  
რევი. კანის წინდები 35 კაპ. 1 მან.—  
დისინ, 7,000 ზანდოსები 5 კაპ.—5  
მან.—დისინ., 1,000 კრავატები 5—35  
მან.—დისინ, 400 აშინი ბომაზი 1  
მ.—1 მან. და 30 კაპ.—დისინ, 800  
აშ. ზარუსინა 40 კაპ.—1 მ.—დისინ,  
300 რევილეები 4 მ.—35 მ.—დისინ,  
200 ალბომი ნახევარ ფასად. 10,000  
გირანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკე-  
ბით 1 მ.—65 კაპ., რკინის კალმები  
ყველა გვარ სელისათვის. (15-12)

## ი. ვ. კურწოვი.

მაქვს ზატვი რათა ვაუწყო  
ზატვი-ცემულ საზოგადოებას,  
რომ მე მაქვს ქ. ოდესაში კამ-  
მისიონნი კანტორა და ვიღებ  
ოველ გვარ საკახებსა.

აგრეთვე მაქვს საეკლესიო  
წმინდა სახლისა ვაჭრობა, ქქ.  
ოდესში, ტფილისში, ქუთაისში  
და გოჭში.

ადრ. : დეპეშებისათვის, Одесса,  
Курцову.  
წერილებისათვის, Одесса II. M.  
Курцову. (3-2)

ზრიტუროვის ცენის მალაზიაში (ბა-  
ლის პირ-და-პირ) ი. ვ. იონანი-  
სიანთან (ოკრუტნი სულის ქვემოთ)  
ისყიდება წერა-კითხის საზოგადოების  
გამოცემა:

წითელი ფარანი, ფი 15 კ.  
საცაური — — — 10 კ.

## გიგლიოგრაფიული განცხადება.

ღვდა-ქნა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სხალსო სკოლაში  
სასმარებელი, მესამე გადასწორებული გამოცემა. ამ გამოცემაში ჩამატებულ  
აქვს მეტი სახლი საღვთო მოთხრობა და ლექსი; სახლი ანდაზები და გამო-  
ცხადება, შესწორებული შინაარსი და ენა სტატისისა და რავდენიმე სახლი სურ-  
თი არის ჩართული. ისეიდება გამომცემლის ბრიტუროვის მალაზიაში კუვი  
სიდის ყურში. ფასი ექვსი შაური. მაგრამ წიგნი სუთმანათ დაეომებათ სა-  
ხალსო სკოლებს და სხვა სასწავლებლებს, როცა იყიდან ნაღდს ფულზედ  
აქვს-და-ათს ეგზემპლარსა და კემპირებს, როცა წაიღებენ ასს ეგზემპლი-  
არსა.

ბუნების პარი ანუ საკითხავი წიგნი უმცროს კლასებში სახმარებელი,  
მესამე გამოცემა შეესაბამება სახლი სტატისით და შეესაბამება სურათებითა და  
საქართულოს კარტითა; ფასი თხუთმეტი შაური. ისეიდება პარა-ანოეთან  
და სხვა წიგნების მალაზიაშია. ეგზემპლარი დაეომება თითხმეტ შაურათა,  
ვისც თხუთმეტ ეგზემპლარს ერთთა ნაღდს ფულზედ იყიდან, ცამეტ შაუ-  
რათ, ვისც ერთად წაიღებს აქვს-და-ათს ეგზემპლარსა და სამ აბაზათ ასი ეგზე-  
მპლარის ერთთა შეიღველს.

ვისაც სურს ან პირველი ან მეორე წიგნი უდაში ჩასმული მიიღოს, წიგნის  
ფასს უნდა სამი შაური დაუმატოს.

როგორც ღვდა-ქნა, ისე ბუნების პარი მოწონებელი არიან (рек-  
მენдованы) და სახელმძღვანელოდ დადებულნი პეტერბურლის მსწავ-  
ლულთა კამატეტისაგან, განათლების მინისტრის დამტკიცებით.  
(10-8)